ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6376600

ნომერი: AR1955421

თარიღი : 17.03.2023

გაცემის თარიღი : 21.03.2023

გაცნობის თარიღი : 21.03.2023

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, წინანდალის ქუჩა, N 9-8 და N9-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გელა ტოკლიკიშვილი პ/ნ 01001069564
- თბილისი ბარალეთის ქ. N 57

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება

  რეკონსტრუქცია
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, ცეცხლმედეგი გამმიჯნავის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის, მოწყობა ან დემონტაჟი

  რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019

წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია შენობის სახურავის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით . პასუხად გაცნობებთ : I კლასის რეკონსტრუქციად მოიაზრება გადახურვის კონფიგურაციის , კეხის სიმაღლის, ქანობის დახრისა და მზიდი კონსტრუქციის ცვლილების გარეშე ცვლილება, ხოლო თქვენს მიერ დაგეგმილია სახურავის სივრცეში სხვენში სამერცხლულების მოწყობა , რის საფუძველზეც ხორციელდება სხვენის სივრცის სამყოფად გადაკეთება და ასევე იცვლება საცურავის კონსტრუქციის ცვლილება (სამერცხლულებით) . ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დაგეგმილი სამუშაოები ვერ იქნება მოაზრებული I კლასის რეკონსტრუქციად და წარმოადგენს ისეთი სახის ცვლილებას რაც საჭიროებს მშენებლობის ნებართვის გაცემას . ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საკითხი უნდა დააყენოთ შენობის კლასის მიხედვით რეკონსტრუქციის კუთხით, შესაბამისად სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას ამ ეტაპზე დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.